სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

14 ოქტომბერი 2025

N 21/10179

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას
ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობისთვის (მაღალი წნევის მკვებავი გაზსადენის V მონაკვეთის მოწყობისა და ექსპლუატაცი) გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, შპს „ცისფერი ალის“ მიერ, ა/წ 7 ოქტომბერს, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია **სკრინინგის განცხადება,** სკრინინგის ანგარიშთან ერთად.

სკრინინგის განცხადების შესახებ ინფორმაცია და თანდართული დოკუმენტაცია განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - www.ei.gov.ge. გთხოვთ, სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საკითხთან და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში უზრუნველყოთ **2025 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით,** მისამართზე: დ. აღმაშენებლის გამზ. 150, 0112 თბილისი, ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად ვალდებულია, უზრუნველყოს აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიგზავნით შპს „ცისფერი ალის“ სკრინინგის განცხადებას, დოკუმენტაციასთან ერთად და გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე და ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: 3 (სამი) ფაილი (ელექტრონული ვერსია)

პატივისცემით,

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/10179-21-2-202510141723

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE